# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 13 ოთხშაბათი, 3 დეკემბერი 1908 წ. № 13


გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

ყოველდღიური საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი **დროება** მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის.

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

**ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება**

# სურათებიანი დამატება

**დამატება გამოვა კვირაობით.**

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის საგენტოს“ **დეპეშები**. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყება ბეჭდვა.

**გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ—8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მ. 80 კ., ერთი თვით—1 მ.**

## თვიური ფასები

| | 12 თვით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში | 8—50 | 8—10 | 7—60 | 7—10 | 6—50 | 5—80 | 5—10 | 4—40 | 3—70 | 3 | 2 | 1 |
| საზღვარ-გარედ | 12 | 11 | 10 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4—50 | 3—50 | 2—50 | 1—50 |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. ● დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდი კაპეიკი.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის მომწერმა ფული ან ერთბაშად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისათვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ.

**ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური კალენდარი 1909 წლისა.**

გაზეთის კანტორა სცდილობს კარგად მოაწყოს გაზეთის დაგზავნისა და დატარების საქმე, ისე რომ არც ერთი ნომერი არ დაეკარგოს ხელის-მომწერს.

**ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში: „დროების“ კანტორაში**—დიდი-ვანქის ქუჩა, № 12; **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქურქუმაშვილთან**—სასახლის ქუჩა, თავ-აზნაურობის ქარვასლა; **ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან**—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლი; **რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში ვანო ჭავჭავაძესთან**—ტოკარნი ცეხი.

**პროვინციალურ აგენტებთან ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება.** პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ადრესი წერილებისა და დეპეშების გამოსაგზავნად: Тифлисъ Редакція „ДРОЭБА“. ადრესი ფულის გამოსაგზავნად: Тифлисъ. Редакція „ДРОЭБА“ И. С. Агладзе.

---

ამა დეკემბრის 1-ს ს. მათხონჯში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## გიგო ბეროს ძე ფირცხალავა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს განსვენებულის მეუღლე და შვილები. (2—უ—1)

---

თ-დი ივანე გრიგოლის ძე

## სიდამონ-ერისთავი

მოულოდნელად გარდაიცვალა გულის სიგანივრით 1-ს დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მისი ძმის წულები **დავით, იოსებ, ვახტანგ და ვლადიმერ ვასილის ძენი სიდამონ-ერისთავნი, ბარბარე ვასილის ასული ვასილევისა და სოფიო ვასილის ასული კნ. ვახვახიშვილისა.**

პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 1-ს საათზედ და საღამოს 7 საათზედ. მთაწმინდის ტუპიკი, № 1. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—635—1)

---

**ანასტასია თომას ასული, ვლადიმერ, პლატონ, კონსტანტინე, ნიკოლოზ და ლარისა იოსების ძენი და ასული ბაქრაძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო დანარჩენნი—საყვარელ მამის

## იოსებ გრიგორის ძის ბაქრაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე. გამოსვენება კვირას, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე საკუთარ სახლიდან (ბალახვანის ქუჩა) საფიჩხიის სასაფლაოზე. (1—კვ.—1)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 3 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

## „მხიარული ქვრივი“

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ხასლავსკაია, კალინინა მეორე, ფერარი, ოსიპოვა; ბ-ნნი დანილევსკი, ევლახოვი, კარელინა, ლიუტჩევი, როზანოვი, სიმონოვი, ულუხანოვი, ხლიუსტინი, როსსოლიმო და სხვ.

დირიჟორი **ან. ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 9 დეკემბერს ბენეფისი ოსიპოვისა.

---

## აკაკის საიუბილეო დღესასწაული ჭიათურაში

7-ს დეკემბერს 1908 წ.

**1. პარაკლისი**

სადგურზედ დილის 11 საათზედ (საზოგადოებას დაურიგდება აკაკის წიგნაკები).

გამგე **გ. ჭუმბურიძე.**

**2. დილა**

თეატრის დარბაზში პარაკლისის შემდეგ (საზოგადოება გაემართება პარაკლისის შემდეგ თეატრში).

გამგე **ვ. გომელაური.**

**3. საღამო**

ადგილობრივ თეატრში გაიმართება: აპოთეოზი და წარმოდგენილი იქნება აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. რეჟისორი **ს. ტარუაშვილი.**

წარმოდგენის წმინდა შემოსავალი და ღია წერილების შემოსავალი გადადებულია აკაკის ფონდისათვის.

**საიუბილეო კომიტეტი.** (3—ნ.—1)

---

## მმ. ა. და ი. ალშიბაიების მაღაზიის

(გოლოვინის პროსპექტი)

## ლიკვიდაციის გამო

ამ ცოტა ხანში დაინიშნება

## უკანასკნელი ვაჭრობა

ფასი ყველა საქონელზე მეტად იაფი დაინიშნება.

**ვაჭრობის დაწყობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.**

---

გულითად მადლობას ვწირავ ყველა იმ პირთ, ვინც ჩემს მწუხარებაში მონაწილეობა მიიღო პირადად ან წერილით.

**ეკატერინე თადეოზის ასული ქუთათელაძისა.** (1—ფ—1)

---

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლვოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—ნ.—1)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—23)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ.—42)

**ექიმი** გ. ე. ხოჯაპარუხოვი ყოფილი ასისენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიიღებს სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. ხოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—7)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—82)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** ა. ი. აშიანცი ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საჰოსპიტლო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—33—10)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამბოროების ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—40)

**სამკურნალო** ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,**

მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოგინებელ ოთახით

**ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

**ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე**—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

**ექიმი ივ. ბოკერია**—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს.

**რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—ნ.—5)

**ექიმი** კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—ნ.—13)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ფერშალი** ლეონტი ი. ბარკალაია

ეცრის ყვავილს. იღებს ყელჭირლების, ხუნაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველდღე 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68. (15—613—13)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **მ. ი. ბეგიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—ნ—18)

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში**

ხუთშაბათს, 4 დეკემბერს,

**ქართულ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის** საზოგადოების ინიციატივით საზოგადოების წევრი გრ. რობაქიძე წაიკითხავს საჯარო ლექციას

## „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია“.

ადგილების ფასი 50 კაპ.—2 მან.

დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. (3—უ—2)

---

**გამოვიდა და იყიდება**

ბროშიურა კიტა აბაშიძისა:

## „აკაკი წერეთელი“

(სალირიკო პოეზია)

**ფასი სამი შაური.** (10—უ.—7)

---

**მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე**

## ფეხსაცმელების სახელოსნო

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა, N 28.

პატივისცემით

(20—ნ.—3) **ივ. ხვ. ბერძნიშვილი.**

---

## მებელიანი ნომრები „ხარბინი“

**გიორგი მიკირტუმოვისა.**

პირველ ენკენისთვიდან გაიხსნა ახლად მოწყობილი ნომრები

**„ხარბინი“ ქ. ტფილისში რიყეზე**

ხოსროევის ქარვასლაში, სახლი № 92. შესანიშნავი სისუფთავეა, ფასები ზომიერია. ნომრებში იმყოფება **ექიმი** ხირურგიულისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. იღებს დილის 10 ნახევრიდან—11 ნახევარ საათამდის. (14—ხალ.—8)

---

## სამკურნალო ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მოსალოგინებელ ოთახით

**ექიმი ივ. ბოკერიასი**

ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (ნ—16)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**გეომეტრი და მარკშაიდერი**

## გ. ს. ასათიანი

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—ნ.—63)

## ტფილისი, 3 დეკემბერი.

ქართულ გაზეთებში ხშირად ყოფილა დაყენებული საკითხი სახალხო სკოლის ტიპის შესახებ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს და პედაგოგებს ერთი გადაჭრილი და დასაბუთებული გეგმა შეემუშავებინათ ამ საჭირ-ბოროტო საქმისთვის. სამინისტრო და სამრევლო სკოლების ტიპი რომ არ შეესაბამება ქართველ ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ეს საანბანო ჭეშმარიტებად არის ცნობილი; ამ სკოლებს რომ ბევრი ვერაფერი სარგებლობა მოაქვთ ხალხისთვის, ესეც ყველას კარგად მოეხსენება. მაგრამ ამ უარყოფის კრიტიკიდან საგნის შემოქმედებითს მხარეზე გადასვლა თითქოს არც არავის ეხერხება, არც არავის ეხალისება. უხალისობა ამ ცოცხალ საქმეში გამოწვეულია სხვათა შორის და უმთავრესად იმ მიზეზით, რომ სამინისტრო და სამრევლო სკოლის ტიპის შეცვლაზე ადგილობრივ მოღვაწეებს იმედი არა აქვთ გავლენა იქონიონ, უამისოდ კი სკოლის ტიპის საკითხი უნიადაგო თეორიულ საკითხად ეჩვენება გონებას. ჩვენის აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება მთლად უსაფუძვლო არ არის, მაგრამ თუ ამ მოსაზრებას გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა აქამომდე, როცა თვით ხალხი გულგრილად უცქეროდა სკოლის საქმეს, ეხლა, როცა ხალხის თვითმოქმედება დღითი-დღე ვითარდება და იზრდება, ეხლა ამ მოსაზრებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

სამინისტრო და სამრევლო სკოლა ერთად-ერთი შესაძლებელი სკოლა არ არის. საქართველოს სხვა და სხვა ადგილიდან ხშირად მიჰმართავენ ხოლმე ადგილობრივი მცხოვრებნი, მაგ., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, თხოვნით სკოლა დაგვიარსეთო. ასეთი მიმართვა კი უტყუარი თავდებია, რომ ხალხი ხარჯს არ დაერიდება, თუ კი დაინახა, რომ კერძო სახალხო სკოლა იმის ნამდვილ და მომწიფებულ საჭიროებას შეესაბამება. სომეხთა საქველმოქმედო და კულტურულმა საზოგადოებებმა იუარებელი სკოლები დაარსეს ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ადგილას სომხებისთვის და კიდევ მრავალ სკოლის დაარსებას აპირობენ მომავალში. თუ შემუშავდა ისეთი ტიპი სასოფლო სკოლისა, რომლის სარგებლობაც ნათელი იქნება თვით ხალხისთვის, უეჭველია არც ქართული სოფლები დარჩებიან უკან და ისინიც ხარბად დაეწაფებიან ასეთ ტიპის სკოლებს. წინანდელ უხალისობას, რომელიც ღმოცენდა შებორკილ თვითმოქმედების ნიადაგზე, ეხლა მაინც ბოლო უნდა მოეღოს.

თუ რა შეუძლიან და რა სასწაულმომქმედი გავლენა აქვს სკოლის ტიპს სახალხო განათლების საქმის განვითარებისთვის, ამას სხვათა შორის ჰმოწმობს იმ სკოლების მაგალითი, სადაც საცდელად ინსტრუქტორები მოიწვიეს და ხელობის სწავლება შემოიღეს. ამ სკოლებმა, მაგალითად თიონეთის სამრევლო სკოლამ, სწრაფად მოინადირეს ხალხის გული და ეხლა ბევრი ახლო-მახლო სოფლის სკოლა შუამდგომლობს, ზოგი სასულიერო სასწავლებელთა მთავრობის და ზოგი მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, ჩვენც დაგვიარსეთ სკოლა, სადაც ბავშვებს ფეიქრობას, ხალიჩების ქსოვას, მატყლის დამუშავებას და სხვა ამგვარ ხელობას ასწავლიანო. ცხადია, რომ სკოლა მაშინ ჰხდება ხალხის თვალში ძვირფას ცოდნის წყაროდ, როცა იგი ლოცვების გაზეპირებით და ანბანის შესწავლით კი არ განისაზღვრება, არამედ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას უკავშირდება და სასარგებლო, ცხოვრებაში გამოსაყენ ტეხნიკურ ცოდნასაც ავრცელებს. ვისაც გულწრფელად აინტერესებს სახალხო სკოლის ბედ-იღბალი, იმათ სწორედ ამ გარემოებას უნდა გაუწიონ ანგარიში. სამრევლო და სამინისტრო სკოლათა ტიპზე გაჩერება სანუგეშო მომავალს არ გვიქადის. ხალხისთვის სასარგებლო და ხალხის თვალში მოსაწონ სკოლის ტიპის შექმნა — აი, საითკენ უნდა მიიქცეს იმ მოღვაწეთა გულის-ყური, რომელნიც ხალხის კულტურულ წინ-მსვლელობას ჰკისრულობენ. უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი სახალხო სკოლის შესაწყნარებელ ტიპისა უკვე გამორკვეულია: სკოლა სატეხნიკო ცოდნათა გავრცელების ელემენტებს უნდა შეიცავდეს. საქართველოს თითოეული კუთხე თავისებურ ეკონომიურ პირობებში სცხოვრობს, თითოეულს კუთხეს განსაკუთრებითი ტეხნიკური ცოდნა ესაჭიროება. სკოლა, რომელიც გამოსადეგია და მომზიდველი მთიულებისთვის, შესაძლოა სრულიად გამოუსადეგარი იყოს ბარის ადგილებისთვის. ჩვენმა კულტურულმა და დაწესებულებებმა და ჩვენმა პედაგოგებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და ვგონებთ, იმაზე უკეთესს ვერას მოიმოქმედებენ, რომ საქართველოს თითოეულს კუთხეში თითო სამაგალითო სკოლა გაიჩინონ, ისეთი სკოლა, რომელიც ტეხნიკურ ცოდნათა გავრცელებით მოინადირებს ადგილობრივ მცხოვრებთა გულს. თითო ასეთი სკოლა რამდენისამე წლის განმავლობაში აუცილებლივ მრავალს თავის მსგავს სკოლას შეჰქმნის და ხალხის თვით-მოქმედებაც გონივრულ გზაზე დადგება.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მრავალ კულტურულ საქმეში მოსთხოვენ ხოლმე პრესსა და საზოგადოება თაოსნობას. ჩვენის აზრით, ყოვლად უწინარეს სკოლის საქმეში მოეთხოვება მას თაოსნობა და სწორეთ იმ მიმართულების ხაზზე, რომელიც ამ წერილში აღვნიშნეთ.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ყვითელი სიმინდი.** როგორც მკითხველებმა იციან, ქუთაისის გუბერნიაში ხალხის უპირველეს საზრდოს სიმინდი შეადგენს. წინად მთელს გუბერნიაში მისდევდნენ ყვითელ სიმინდის თესვას, რომელიც სპეციალისტების გამოკვლევით უფრო მარგებელია კაცისათვის. პრიმიტიულმა დამუშავებამ წითელ სიმინდის მოსავალი დასცა. ხალხმა ნელ-ნელა ხელი მიჰყო ამერიკულ სიმინდის მოყვანას—და ეხლა დასავლეთ საქართველოში, ზოგიერთ მივარდნილ ადგილებს გარდა ყველგან ამერიკულ სიმინდსა სთესენ. ყარაიაზის მინდორში უცდიათ გაუმჯობესებულ საშუალებით ყვითელ, ჩვენებური სიმინდის დათესვა. მეტად უხვი მოსავალი მიუღიათ. ჩვენებურ წესით ამდენ სიმინდს ვერც სამ დესეტინაზე მოიყვანს კაცი. რადგან ეს სიმინდი უფრო მარგებელია ხალხის ჯანმრთელობისათვის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს აზრად აქვს 100 ფუთამდე გამოიწეროს ყარაიაზიდან და დასავლეთ საქართველოში გაუგზავნოს თესლად იმას, ვინც მოისურვებს. მსურველს შეუძლიან მიმართონ სამეურნეო საზოგადოებაში მიიღოს დარიგება იმისა, თუ როგორ უნდა დაიმუშაონ ეს სიმინდი, რომ მეტი მოსავალი მისცეს.

✦ **თეატრის კურთხევა.** ქართულ თეატრს აკურთხებენ დეკემბრის ათ რიცხვში. კურთხევის დროს თავად-აზნაურობა ამშენებელს, ტეხნიკოსს ტერ-სარქისიანცს მიართმევს დროშს და ოქროს აზარფეშას. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამავე დღეს „სამშობლოს" წარმოადგენს.

✦ **საგანგებო დაცვის მაგიერ გაძლიერებული დაცვა.** ბაქოსა და ბაქოს გუბერნიაში, როგორც ვიცით, საგანგებო წესები გაძლიერებულ წესებად შეუცვლიათ. წესების მოქმედების ვადა ერთი წლით კიდევ განუგრძვიათ—1909 წლის 6 დეკემბრამდე. თვით ბაქოში კვლავ საგანგებო წესები დაუტოვებიათ 1906 წლის 6 ივნისამდე.

✦ **სხდომა.** დღეს, 3 დეკემბრისთვის დანიშნულია სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა.

✦ **მიწის-ძვრის ზარალი.** ყველაზე მეტად მიწის-ძვრამ დააზიანა ტყიბულა. კვირას ტყიბულაში განსაკუთრებული კომისია მიდის სადგურის შენობების შესამოწმებლად.

✦ ტფილისის მაზრის სოფელ წავკისში და ბორჩალოს მაზრის სოფელ დარახლოში შინაურ საქონლის ჭირი გაჩენილა

✦ გოგოლის ქუჩაზე 1 დეკემბერს ოზურგეთის მცხოვრებ ივანე ხავთასისთვის დიას ფანჯარიდან ქურდს მოუპარავს 80 მანეთის ნივთები.

● 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ტფ. ოლქის სასამართლოში უცბად გარდაიცვალა სასამართლოს განყოფილების გამგე თავ. ივანე ერისთავი.

● 1 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, სურფ-მინასის ქუჩაზე, მარინეს ეკკლესიის პირდაპირ, ვიღაცას რევოლვერი უსროლია ოჰანეზ დანილიანცისათვის, მაგრამ აუცდენია. უცნობი გაქცეულა და ერთხელ კიდევ უსროლია, მაგრამ მაინც აუცდენია.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ახალი სასწავლებელი.** როგორც ვწერდით, ბავშვების დამხმარებელი საზოგადოება 7 დეკემბერს ხსნის პირველ-დაწყებით სასწავლებელს. მასწავლებლად მოწვეულია ქ-ნი შავარდნაძისა.

✦ **ახალი აგენტი.** შავი ქვის მრეწველთა საბჭომ, ნაცვლად ალექსანდრე გამრეკელისა, თავის აგენტად დაზარალებულ მუშათა დასახმარებლად აირჩია ბ-ნი კონსტანტინე წერეთელი. არჩევნამდის საბჭოს წარუდგა მრეწველთა დეპუტაცია, რომელმაც მრეწველთა ერთი ჯგუფის სახელით ითხოვა, ბ-ნი გამრეკელი თავის ადგილზე დასტოვეთო. საბჭომ თხოვნა არ შეიწყნარა და სამსახურიდან დათხოვნილ ბ-ნ გამრეკელს დაუნიშნა 600 მანეთით დახმარება. ეს ფული უნდა მიეცეს ნაწილ-ნაწილად, ყოველ-თვიურად 100 მანეთი.

✦ **მიწის ძვრა.** 28 ნოემბერს მომხდარ მიწის ძვრას დაუზიანებია ვაჟთა გიმნაზიის, ოლქის სასამართლოს, სომხების სასწავლებლისა და სხვა შენობები. მიწის ძვრა უფრო ძლიერი ყოფილა არქიელის გორაზე, სადაც ბევრი სახლი დაუზიანებია. თან და თან ირკვევა, რომ მიწის ძვრამ ქუთაისის მცხოვრებლებს დიდი ზარალი მოუტანა. დანგრევით სახლები არ დანგრეულა, მაგრამ ბევრი დაზიანდა და შეკეთებას ითხოვს.

✦ **საურთიერთო ნდობის საზოგადოება.** 30 ნოემბრისათვის დანიშნული საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, როგორც ყოველთვის, არც ახლა შესდგა. [illegible] რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც [illegible] დანიშნულია 14 დეკემბრისათვის, სწორედ იმ დღისათვის, როდესაც ქუთაისში უნდა გაიმართოს მგოსნის აკაკის საიუბილეო დღესასწაული. საჭიროა, რომ საზოგადოების გამგეობამ სხდომა სხვა დროსათვის გადასდოს და შეძლება მისცეს საზოგადოების წევრთ, არ დააკლდნენ დღესასწაულს.

✦ ქალაქის გამგეობამ აცნობა პირველ საქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებლის ინსპექტორს, რომ მისი თხოვნები მოხსენდება ქალაქის საბჭოს. თავის მხრით გამგეობა ჰპირდება, რომ იგი იშუამდგომლებს საბჭოს წინაშე, რომ ყოველ-წლიურად დაენიშნოს სასწავლებელს ქალაქის საშუალებიდან 500 მანეთი სასწავლებელთან დასაარსებელ სახელოსნო განყოფილების შესანახად; გარდა ამისა, ნება მიეცეს მას უბაჟოდ მოსტეხოს ქალაქის ეკლარის ქვის მადანში სასწავლებლის შენობის ასაგებად საჭირო ქვა.

✦ 28 ნოემბერს მომხდარს საჯარო ვაჭრობაზე ქალაქის ბუდკებში შეაძლიეს 2582 მანეთი. მოსალოდნელია, რომ კიდევ მოუმატებენ. სულ გასაცემია სამწვანილო მოედანზე 20 ბუდკა, სასწორის მოედანზე—12.

## აკაკის იუბილეი

**პროვინციიდან ბევრი ხალხი აპირებს ჩამოსვლას.** როგორც ეტყობა, საიუბილეო დღესასწაულზე დიდ-ძალი ხალხი აპირებს ჩამოსვლას საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან. განსაკუთრებით ბევრი ხალხი მოდის დასავლეთ საქართველოდან და უფრო კი საჩხერის ნაწილიდან, მგოსნის სამშობლო კუთხიდან. კომიტეტს მრავალი დეპეშა მოსდის პროვინციიდან. თხოულობენ, ბილეთები შეგვინახეთო. საჭიროა, კომიტეტმა ეხლავე დაიჭიროს თავდარიგი.

—

**ქალთა დეპუტატები.** ტფ. ქართველ ქალთა წრის დეპუტატებად ამორჩეულნი არიან ქნ. ელისაბედ ორბელიანისა, ნინო განდეგილი და ნინო ყიფიანისა. დეპუტატები მიართმევენ

# ფელეტონი

## დამიანის გუნებიდან

### ბუნებრივ სიკვდილის მიზეზებზე

პროფ. შიმკევიჩის შეხედულება ბებრულ გადაგვარებაზე.—მისი ორი სტატია და მათი მნიშვნელობა.—პროფ. ვეისმანის შეხედულება სიკვდილის მიზეზებზე და მისი უძლეობა.—მეჩნის ცდა და დაკვირვანი. მათი მნიშვნელობა.—ბიუჩლის თეორიული „ფერმენტი".—ი. თარხნიშვილის შეხედულება ბირთვზე და მისს მოქმედებაზე.—შიმკევიჩის აზრი ამაზევე.

როდესაც ხედავ მაგარ, ჯანსაღ მოხუცს, რომელსაც თავის სიცოცხლეში არა სცოდნია რა ავადმყოფობისა, უნებლიედ გებადება შემდეგი კითხვა: რამ დააბერა ეს ადამიანი? საიდანაა ეს ჭაღარა თმა, ღრმა ნაოჭები, მელოტობა, წელ-მოხრილობა და სხვა ამგვარი სიბერის დამახასიათებელი ნიშნები? თმა უთეთრდება ადამიანს იმის გამო, რომ მას აკლდება შემღებავი ნივთიერება (პიგმენტი) და ივსება ჰაერის ბუშტებით. მელოტობა იჩენს თავს იმის გამო, რომ სხეულს აკლდება კანის ქვეშეთი ქონი, რომლის მუნყოფა ხელს უშლის ნაოჭების გაჩენას. ხერხემალი იხრება იმის გამო, რომ ხრტილის ჯერება, რომელიც ზურგის ხერხემლების ძვლებშუაა, ვიწროვდება და კვდება. თუ ავადმყოფობისაგან არ წარმოსდგებიან ეს ცვლილებანი, რაა მათი მიზეზი? ამგვარი ცვლილებანი უფრო მძაფრად ეტყობა მოხუცის შიგნეულობას. მაგ., მას თვალსაჩინოდ ეცვლება სისხლის ძილები — ესენი კირდებიან, მაგრდებიან და ხშირად იმსხვრევიან. ამ ცვლილებებს სიცოცხლეზედაც დიდი გავლენა აქვთ. ანატომ გარვეის სიტყვით, ინგლისში პარრის უცოცხლია 152 წელიწადი და ცხრა თვე. სიბერის დროს მას არავითარი ცვლილებები არ ეამჩნევა, მაგრამ ეს მაგალითი ერთეულია და ამისათვის მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მეცნიერებისათვის. საზოგადოდ, ბებრულ ცვლილების გამო, რომ მაღლა მდგომ ცხოველთა სიცოცხლე განსაზღვრულია გარდაკვეთილის (определен.) საზღვარით. როდესაც ბუნება ამყარებდა ამ საზღვარს, იგი ცოტას ჰფიქრობდა ცალკე ინდივიდის სურვილსა და ინტერესზე, მაგრამ სამაგიეროდ ის დიდის ყურადღებით ეპყრობოდა მოდგმის ინტერესს, აბრეშუმის პეპელა პარკიდან გამოსვლის შემდეგ ნაყოფიერდება, ჰყრის მრავალ კვერცხს და კიდევაც კვდება. ამ შემთხვევაში სიცოცხლე განსაზღვრულია გამრავლებითის საზღვარით. მაგრამ როდესაც მწერი იძულებულია ნოყიერ საკვების მოსაპოვებლად ხანგრძლივად იმუშაოს, ბუნება მას პატივსა სცემს და ყურადღებით ეპყრობა—უგრძელებს სიცოცხლეს. სიცოცხლის ხანგრძლიობა, თუმცა ყოველთვის არა, დამოკიდებულია გამრავლების პირობებისადმი შეწყობილებაზე და უნდა იზომებოდეს არსებობისათვის ბრძოლით. თუ ეს მოსაზრება მართალია, შეგვიძლიან ვიკითხოთ, შეადგენს თუ არა სიკვდილი ფიზიოლოგიურ აუცილებელ საჭიროებას, თუ ისიც გაჩენილია, როგორც შეწყობილება მოდგმის გასაუმჯობესებლად?"

ამ სიტყვებით იწყება პროფ. შიმკევიჩის სტატია „о причинахъ смерти высшихъ организмовъ". ამ საკითხზევე დაუწერია მას მეორე სტატია „Старческое вырожденіе низшихъ организмовъ и смерть высшихъ". ამ სტატიებში მოთავსებულია როგორც ავტორის, ისე სწავლულთა აზრი და შეხედულება სიკვდილის მიზეზებზე. საკითხი ვრცლადაა გამორკვეული და ამ რიგად მკითხველს ადვილად შეუძლიან გაითვალისწინოს საკითხი და იქონიოს მაზე სრული წარმოდგენა.

შიმკევიჩის სტატიის ზემო-მოყვანილ ციტატიდან აშკარადა სჩანს, თუ როგორ ესმის მას სიკვდილის მიზეზი: ბებრულ ცვლილების გამო სიცოცხლე შეზღუდული ყოფილა გარდაკვეთილის საზღვარით. ეს საზღვარი დაუმყარებია ბუნებას, რომელიც თურმე დიდის ყურადღებით ეპყრობა მოდგმის ინტერესს და ცოტას სცდილობს ცალკე ინდივიდზე. რასაკვირველია, ბუნება ცდილობს და ზრუნავს ცალკე ინდივიდზედაც, მაგრამ ცდილობს და ზრუნავს იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა და სასარგებლო მოდგმის კეთილდღეობისათვის. მრავალი მაგალითი მოჰყავს ამის დასამტკიცებლად ჩ. დარვინს თავის „მოდგმათა წარმოდგომა"-ში და ამის გამო ჩვენც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბებრული ცვლილებანი, რომელნიც გადაჭრით საზღვრავენ სიცოცხლეს და ამყარებენ ბუნებრივ სიკვდილს, უნდა წარმომდგარიყვნენ მოდგმის საკეთილდღეოდ, ე. ი. ბუნებრივი სიკვდილი უნდა წარმოადგენდეს იმგვარ მოვლენას, რომელიც ფრიად საჭიროა მოდგმისათვის.

პირველად ეს აზრი წარმოუთქვამს ცნობილ ბიოლოგს ვეისმანს, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი წინა წერილებში. აქ საჭიროა მოვაგონოთ მკითხველს ზოგიერთი ძირითადი დებულება მისის სწავლისა.

ვეისმანის აზრით, რომელსაც თანაუგრძნობს ბიუჩლი (ავტორი კლასსიკურ შრომისა („Pro tozoa")), ერთ უჯრიან არსებანი არა კვდებიან ბუნებრივ სიკვდილით. რასაკვირველია უმდაბლესი ორგანიზმებიც იხოცებიან, მაგრამ იხოცებიან ძალდატანებით, ხელოვნურად, მავნე პირობათა გავლენის გამო, მაგ., იჭმევიან, ისრისებიან, იჭმევიან სხვა ორგანიზმისაგან და სხ. ძალდაუტანებლად ისინი არა კვდებიან, მაშასადამე ბუნებრივად ისინი უკვდავნი ყოფილან. ამ გვარი უკვდავება დამყარებულია იმაზე, რომ ერთ უჯრიანი არსებანი ნაყოფიერდებიან და მრავლდებიან უსქესოდ, ე. ი. მათი მდედრობითი სხეული იყოფა ორ ან მეტ ნაწილად, ახალი განაყოფი იზრდება დამოუკიდებელ არსებად, ეს კიდევ იყოფა ხელმეორედ და ასე, ამ რიგად უკუნითი უკუნისამდე მომდინარეობს მათი სიცოცხლე; მაგრამ, როგორც ვიცით ბევრი უჯრიანი ორგანიზმი შესდგება მრავალ ერთ უჯრიან ორგანიზმებისაგან. მაშასადამე, თუ ერთ უჯრიანი არსება არა კვდება ბუნებრივი სიკვდილით, რისთვის უნდა კვდებოდეს ბევრ უჯრებიანი? ნუ თუ მოსალოდნელი არ იყო, ესენიც უკვდავნი ყოფილიყვნენ? როგორც ვიცით, სინამდვილე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას; ბევრ უჯრიან არსებას არ შეუძლიან დაუსრულებლად გამრავლება, ის რამდენიმე ხნის შემდეგ ბერდება და კვდება. მაშასადამე, გამოდის, რომ აქ რაღაც გაუგებრობას ჰქონია ადგილი, ბუნების კანონები ვითომდა ყველასათვის ერთი და იგივე არა ყოფილა.

ვეისმანს რომ დავუჯეროთ აქ გაუგებარი არა ყოფილა რა. აი, რას ამბობს ამაზე. ბუნებაში არსებობენ იმ გვარი ცხოველები, რომელთაც შეგვიძლიან მოვაცალოთ სხეულის რომელიმე ნაწილი და რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნავთ, რომ მათ მოჭრილ ნაწილის მაგივრად ამოუვათ ახალი ნაწილი. ამ გვარი მოვლენა გავრცელებულია უმდაბლეს ცხოველებში; ცხოველი რაც უფრო მაღლა სდგას ზოოლოგიურ საფეხურზე, მით უფრო მოკლებულია ამ მოვლენას. ამასთან, როგორც ვიცით, ყოველსავე ორგანიზმს თავის სიცოცხლის განმავლობაში შეხვდება რაიმე ხიფათი: ან იტკენს რასმეს, ან შეესევა რომელიმე პარაზიტი, ან ავად გახდება და სხვა ყველა ამ გვარმა ფაქტორმა რაიმე ცვლილება უნდა მოჰგვაროს სხეულს, ასე თუ ისე უნდა დააზიანოს; უდაოდ არც ერთმა მავნე ფაქტორმა არ უნდა დასტოვოს სხეული. თვითოეულ ამ ფაქტორის გავლენა მით უფრო თვალსაჩინო უნდა იყოს, რაც სხეული უფრო მაღლა სდგას ბიოლოგიურად და მოკლებულია დაზიანებულ ნაწილის აღდგენის ნიჭს. ამ შემთხვევაში, ცხოველები რომ უკვდავნი იყვნენ, დედამიწა უნდა ავსებულიყო მახინჯებით, ხეიბრებით, დავრდომილებით. მაგრამ ამ გვარი მოვლენა ნუ თუ რაიმე ხეირს მოგვრიდა ცხოველთა მოდგმას, დაამშვენებდა და გააუმჯობესებდა მას? პირიქით, ამ გვარი მოვლენა დიდად დააუშნოებდა მას და წაუმწარებდა სიცოცხლის წყურვილსაც. ამ გვარი მოდგმანი არსებობისათვის ბრძოლის ძალით უნდა გამოსთხოვებოდნენ დედამიწას, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ამ შემთხვევაში ბუნება თავს იდებს უსწორ-მასწორობის შესაკეთებლად. იგი თავდაპირველად ცდილობს მოდგმის შენახვაზე, მისს კეთილდღეობასა და გაუმჯობესობაზე და არ ანებებს ცალკე ინდივიდებს იმ გვარ რამის ჩადენას, რაც ასე თუ ისე ვნებს მოდგმას; მაშასადამე, განაგრძობს ვეისმანი, სიკვდილი ფრიად საჭირო ყოფილა მოდგმის შესანახად და ამის გამო ბუნებას გაუქარწყლებია მაღლა მდგომ ცხოველთა უჯრების დაუბოლოვებელი გაყოფა ბუნებრივ შერჩევის კანონის ძალით. აქედან აშკარადა სჩანს, რომ ბევრ უჯრიანი არსებანი იძულებულნი ყოფილან ძალაუნებურად გამოეთხოვნენ ამ წუთისოფელს.

ამ გვარია ვეისმანის შეხედულება ბუნებრივ სიკვდილზე. ამგვარი შეხედულება დიდათაა გავრცელებული ბიოლოგებს შორის და სულ ერთიანად დამყარებულია ბუნებრივ შერჩევის და არსებობისათვის გარეგან პირობებისადმი შეწყობილების კანონებზე. გარეგანი პირობანი რომ არა, აღარც ბუნებრივი სიკვდილი იქნებოდა საჭირო ორგანიზმისათვის. გამოდის, რომ ეს უკანასკნელი არსებობისათვის ბრძოლის დროს შერჩევის შედეგი ყოფილა. ნუ თუ ბევრი სჯა-ბაასია საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ვეისმანის ამ გვარი შეხედულება ცალმხრივია? თუ უჯარი მართლა დაუბოლოებლად იყოფა და ამის გამო ივსებს თავის დანაკლისს, მშვენივრად ეწყობა გარემოცულ პირობებს და იგრძელებს თავის სიცოცხლეს, ნუ თუ სამართლიანი არ იქნებოდა ბუნებას. ბუნებრივ შერჩევის კანონით ეს ნიჭი ერგუნებინა მაღლა მდგომ ცხოველთა უჯრებისათვისაც? ნუ თუ მოდგმისათვის უფრო სასარგებლო არ იქნებოდა, რომ მასაც შესძლებოდა დაუბოლოებელი გაყოფა და დაზიანებულ ორგანოების აღდგენა? ნუ თუ მავნე პირობებს უფრო დიდი გავლენა არ უნდა ჰქონდეს მდაბიო უჯრებზე, ვიდრე მაღლა მდგომზე? ხომ ცნობილია, რომ დაუბოლოებელი გაყოფა კარგი იარაღია მავნე პირობებთან საბრძოლველად? მაშ რათ წაართვა ბუნებამ ეს მაღლა მდგომ არსებებს და მისცა მდაბიოს? ბუნების კანონები ხომ ყველასთვის ერთნაირად უნდა მოქმედებდნენ? მაგრამ ამ შემთხვევაში ვეისმანი სცდება და სცდება ისე, როგორც სცდება მრავალი მიმდევარი შერჩევის თეორიისა. ისიც მოვლენას ითვალისწინებს იმ ცვლილებებით, რომელიც შეადგენს მისს შედეგს — ე. ი. მიზეზს და შედეგს

იუბილიარს შოთა რუსთაველის [illegible] ოქროს კალმით და მისალოც ად-რესს. [illegible] წაიკითხავს ლექსს.

**ქართული დრამატიული დასი.** ქართულ-დრამატიულმა დასმა და-ადგინა, მიულოცოს იუბილიარს დღე-სასწაული და [illegible] გვირგვინით შემკობ. დეპუტატებად აირჩია ქ-ნი ნ. გაბუნია-ცაგარელი-სა, ალ. [illegible] და ბ. კ. დ. ყიფიანი და კ. ა. მესხი.

**ქართული სახელოვნებო სა-ზოგადოება.** ქართულ სახელოვ-ნებო საზოგადოების გამგეობამ იუბილიარის [illegible] მისართმევად აირჩია ქ-ნ. მ. ვ. ჯაბადარისა-ორ-ბელიანისა და გ. ი. რაზიკაშვილი.

**სომეხ მასწავლებელთა საზო-გადოება.** სომეხ მასწავლებელთა სა-ზოგადოების ცენტრალურმა კო-მიტეტმა დაადგინა, მიულოცოს მგოსანს იუბილე. დეპუტატებად დანიშნა ქ-ნი მ. ადამიანი და ა. ლ. არუთინიანი.

**მუსიკის მოყვარეთა საზოგადო-ება.** 29 ნოემბერს მუსიკის მოყვა-რეთა ტფ. საზოგადოებამ დეპუტა-ტებად აირჩია [illegible] ქ. ცხომელიძე და გ. [illegible].

**სახალხო კითხვათა საზოგადო-ება.** სახალხო კითხვათა საზოგადო-ებასთან არსებულ რუსულ სკოლის [illegible] მგოსანს [illegible].

**სახ. უნივერსიტეტის სომხური სექცია.** ტფ. სახალხო უნივერსი-ტეტის სომხურ სექციის დადგენი-ლებით მგოსანს აკაკი წერეთელს მიულოცავენ დეპუტატები ბ. ტ-რაჩიანი და ბ-ნი ხოჯაკი.

—

**ქუთაისი.** ქუთათურები დაფაცურდ-ნენ დეპუტაციების ასარჩევად აკაკის დღესასწაულზე. ჯერ-ჯერობით დეპუ-[illegible]

[illegible]

**ქ. ახალციხე.** 25 ნოემბერს ახალ-ციხეში მოხდა ახალციხე-ახალქალაქის სამღვდელოების კრება, [illegible]

[illegible] **მღ. ა. ზ.**

## ტფ. ქალაქის საბჭო

1 დეკემბერი

საბჭომ, სახალხო [illegible] კანონის მოთხოვნი-ლებისამებრ, მომავალ 2 წლისათვის აირ-ჩია სავაჭრო დეპუტატები და მათი კანდი-დატები.

შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა მიწის კო-მისიის შევსების შესახებ. კომისიაში ცხრა კაცი ყოფილა. ზოგი ხმოსნის აზრით, ცხრა კაცზე მეტი საჭირო არ არის; თუ მუყაი-თად იმუშავებენ, 9 კაცი საკმაოაო. ქალა-ქის თავმა და ალ. მ. არლუთინსკიმ სთქვეს: საქმეც ის არის, რომ კომისია არა მუ[შა]-ობს; მთელი თვეები გადის, კომისია არ იკრიბება ხოლმე და მიმდინარე საქმეებს ყურადღებას არ აქცევსო. საბჭომ საჭიროდ არა სცნო კომისიის შევსება, მხოლოდ დაადგინა, ქალაქიდან გასულ წევრთა ნა-ცვლად სხდომებზე კანდიდატები მიიწვიონ ხოლმეო. გარდა ამისა, საბჭომ წინადადება მისცა გამგეობას, აიძულოს უმოქმედო ხმოსნები, უსათუოდ იარონ სხდომებზე.

სოლოლაკის გვირაბი ჯერ არ დასრუ-ლებულა და კონცესიონერები უკვე ჰფიქრო-ბენ ხელშეკრულების შეცვლას ქალაქთან, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ მათთვის უფრო სარფა იყოს. კონცესიონერებს მო-უთხოვნიათ ხელშეკრულების ზოგიერთ მუ-ხლების შეცვლა—უამისოდ ვიზარალებთო. ზოგიერთმა ხმოსნებმა სთქვეს, იურიდიულ კომისიას გადავცეთ მოხსენება და დავავა-ლოთ გამოარკვიოს, აქვს თუ არა საბჭოს იურიდიული უფლება შესცვალოს დადე-ბული ხელშეკრულება. საბჭომ დაადგინა, მომავალ ორშაბათს გამგეობამ ეს საქმე იურისკონსულტისა და იურიდიულ კომი-სიის მოსაზრებასთან ერთად კვლავ წარუ-დგინოს საბჭოს განსახილველად.

სიონის ტაძრის მნათედ საბჭომ ისევ ლ. ს. სტაროსელსკი აირჩია.

მგოსნის აკაკი წერეთლის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღება ქა-ლაქის თვით-მმართველობას მოაგონა ქა-ლაქის ქართულ სკოლების გამგეთა ჯგუფ-მა. გამგეებმა ამას წინად სთხოვეს სასწავ-ლებელთა კომისიას, ნება მიეცით მგოსნის დღესასწაულში მონაწილეობა მიიღონ ქა-რთულ სკოლების მოსწავლეებმაო. კომი-სიას შეუწყნარებია ეს თხოვნა. დეპუტაცია (ცხრა კაცისაგან) წარუდგება და მიულო-ცავს მგოსანს. გარდა ამისა, კომისიას და-უდგენია, გამართოს სალიტერატურო დი-ლა და ერთ ქართულ შკოლას მგოსნის სა-ხელი უწოდოს.

ქალაქის გამგეობას კომისიის დადგენი-ლება მიუღია და თავის მხრით დაუდგენია, მიულოცოს იუბილიარს გამგეობამაც იმ ხმოსნებთან ერთად, რომელნიც ამას მოი-სურვებენ. ისიც დაუდგენია, რომ დღესას-წაულში, ქართულ სკოლებს გარდა, მონა-წილეობა მიიღონ ქალაქის ყველა სკო-ლებმა.

საბჭომ მოისმინა და დაამტკიცა გამ-გეობის დადგენილება.

ამას წინად სულით ავადმყოფთა თავშესა-ფარში ზედამხედველ ქალს მდივანს გაურ-ტყავს სილა სულით ავადმყოფ სირანუიშ იშხანიანცისათვის. მდივანს, როგორც თი-თონ ასწერს ამ ამბავს თავის განცხადება-ში, 9 აგვისტოს თავსხმა წვიმაში შეუ-ნიშნავს, რომ სირანუიშ იშხანიანცი წა-ქცეულა ეზოში და ტალახში ისვრებოდა თურმე. მდივანს წაყვანა მოუსურვებია ქალისა[?] მდივნისათვის ხელები დაუკბენია. მდივანი სწერს, ამან ისე გამამწარა, რომ ველარ მოვითმინე და შემოვკარიო. ამის გამო მდივანი სამსახურიდან დაუთხოვნიათ. მას 7 წელიწადი უმსახურნია. მას გამ-გეობისთვის მიუმართავს, რადგან სამუდა-მოდ დამითხოვეთ, ცოტაოდენი შემწეობა მაინც აღმომიჩინეთო. სამჯერ უთხოვნია გამგეობისთვის, მაგრამ მას სამჯერვე უარი უთქვამს. მდივანმა ეხლა საბჭოს მიმართა. ხმოსნებმა შემწეობის ნაცვლად ძალზე გაჰკიცხეს ქ-ნი მდივანი. ხმ. ავთანდილო-ვი, ხუნუნცი, ი. მ. დოლუხანოვი და სხვა-ნი ამბობდნენ: მაგ ქალმა ბარბაროსობა ჩაიდინა და ეხლა შემწეობა უნდა აღმოუ-ჩინოთო. მდივნის სამსახურიდან დათხოვ-ნის თანახმა ყველა იყო, ხოლო შემწეო-ბის დანიშვნაზე ზოგი ამბობდა, უნდა შე-ვეწიოთ რამესაო. ხმ. ტიგრანოვმა, ივ. ჯაბადარმა და სხვებმა სთქვეს, ვინც იცის, რა ჯოჯოხეთი სამუშაოა სულით ავად-მყოფთა თავ-შესაფარში, ასე არ მოექცევა მდივნის ქალსაო. კენჭი ჰყარეს. 14 ხმო-სანი თანახმა იყო შემწეობისა. როცა ჰკითხეს გამგეობას, რა აზრისა ხარო, გამ-გეობა მიემხრო 14 ხმოსანს. აღმოჩნდა 19 კაცი შემწეობის მომხრე. საკითხის გა-დაწყვეტის დროს საბჭოში 36 ხმოსანი იყო. ამაზე კიდევ ასტყდა ალიაქოთი, მაგდენი არა ყოფილა, საბჭომ უარ-ჰყო შემწეობის აღმოჩენაო, თქვენ ძალათი გინდათ პირჯვარი გვაწერინოთო და სხვა. ბოლოს ქალაქის თავი დაემორჩილა რამ-დენიმე ხმოსნის ხმას და გამოაცხადა, საბ-ჭომ მდივანს უარი უთხრა შემწეობის აღმოჩენაზეო.

„კულუარებში" ასეთ დადგენილებით აღშფოთებული ზოგიერთი ხმოსნები ამბო-ბდნენ: ბეითალმა ვართანიანცმა მთელი საბჭო შეურაცხყო, ომი გამოგვიცხადა—მე ერთი და თქვენ 80 კაციო, მაგრამ მაინც 2—3 წლის სამსახურისათვის 800 მანეთი მივეცით და აქ ამდენი დრო რაღაც 100 მანეთისთვის დავკარგეთო.

ზოგი ხმოსანი საბჭოდან წავიდა. შეუდ-გნენ შემოსავალ აღრიცხვის განხილვას, მაგრამ მხოლოდ ორიოდე მუხლის განხილ-ვა მოასწრეს.

## სპარსეთის ამბები

**მარანდის გუბერნატორი**

სათარხანმა მარანდის გუბერნატო-რად დანიშნა სეიდ-ულ მემალიკი, რომელიც მეჯლისის მედგარი დამ-ცველი იყო და რომელიც ეხლა ხან მისულა თავრიზში.

**სირდინ-ავლანის ახალი გალაშქრება**

როგორც ამას წინად ვწერდით, რეშტის გუბერნატორი სირდინ-ავ-ლანი ტალიშის რევოლიუციონერე-ბმა ძალზე დიამარცხეს და უკუაქ-ციეს. ეხლა, შაჰის ბრძანებით, სირ-დინ-ავლანს ხელ ახლა შეუდგენია ჯარი დაკვლავ წასულა ტალიშისა-კენ.

**შაჰის მოქმედება**

ამ ბოლო დროს „სპარსეთის მბრძა-ნებელი" ხან ანიჭებს ხალხს კონ-სტიტუციას და ხან ისევ უკან ში-აქვს. ისე მოქმედებს, რომ ზოგიერთ მეგობრებმაც კი დაჰკარგეს იმედი ყველაფერზე. ეხლა შაჰმა, როგორც გუშინაც ვწერდით, გამოაქვეყნა ახა-ლი ბრძანება „სახელმწიფო საბჭოს" მოწვევის შესახებ. „საბჭოს" სხდო-მები შაჰის სასახლეში მოხდება; თავ-მჯდომარედ დაინიშნა ადერბეიჯანის ყოფილი გუბერნატორი ნიზამ-ულ მულკი, რომელიც იუსტიციის მი-ნისტრადაც იყო, მაგრამ პირველმა მეჯლისმა განდევნა. საბჭოში თორ-მეტი „კეთილგონიერი" სახელმწი-ფო კაცი იქნება და შეიმუშავებს ისეთ საარჩევნო კანონებს, რომე-ლიც უკიდურეს მემარჯვენეებსაც დააკმაყოფილებს, ზომიერებსაც და უკიდურეს მემარცხენეებსაცაო. იმე-დიც კარგია!

## ბალკანეთი

**ავსტრიის მთავრობის განცხადება.**

ავსტრიის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება ბოიკოტის შესახებ. მთავრობა თავის პირით აცხადებს, არავითარი საშუალება არ დაგვრჩა რომ არ გვეხმარა ბოიკოტის წინაა-ღმდეგ, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. სტამბოლში რამდენჯერმე მივმართეთ სერიოზულის წინადადე-ბით; ჩვენ ყოველთვის მხარს უჭერ-დით საქონლის პატრონების თხოვ-ნას ზარალის ანაზღაურების შესახებ. ბოიკოტს მოჰყვა ფრიად არა სასია-მოვნო შედეგი: შესწყდა მოლაპა-რაკება ოსმალეთთან ბოსნია-ჰერცო-გოვინის შემოერთების შესახებ. ავსტრიის მთავრობა მედგრად თხოუ-ლობდა ოსმალეთისაგან, ელონა რამე და ბოლო მოეღო ბოიკოტი-სათვის. ბოლოს ოსმალეთის მთავ-რობამ ოფიციალურად [illegible] განა-ცხადა, რომ სა[illegible] ფერი ბრძანება მიეცათ და რომ ოსმალეთი კანონიერების ფარგალში ყველა საშუალებას ილონებს ბოიკო-ტის მოსასპობლადაო. ავსტრიის მთავრობა იღებს რა ამ განცხადებას მხედველობაში, მიაქცევს ოსმალე-თის ყურადღებას იმაზე, რომ თუ დაპირება არ შესრულდა ოსმალეთმა, პასუხის მგებელი იქნება იმ ზარალ-ში, რომელიც მოუვათ ავსტრიელ ვაჭრებს. რაკი პრინციპიალური წი-ნააღმდეგობა ბოიკოტის შესახებ აღარ არსებობსო, ამბობს ავსტრიის განცხადება, ჩვენ მზადა ვართ მო-ლაპარაკება ოსმალეთთან მშვიდო-ბიან მორიგების შესახებ კვლავ გან-ვაახლოთ, ამაზე სტამბოლის ელჩს შესაფერი ინსტრუქციაც მიეცაო.

**გერმანელ სოც.-დემოკრატების აზრი ბოსნიის შესახებ**

სოც.-დემოკრატთა დეპუტატმა ზინგერმა რეიხსტაგში ბიუჯეტის შე-სახებ კამათის დროს განაცხადა: „ავსტრიასთან მეგობრობა კარგი საქმეა, მაგრამ ის კი ვერაფერი სა-ქმე იქნება, რომ ამ მეგობრობის მოხებით ჩვენ ომში ჩავებათ ბოს-ნია-ჰერცოგოვინის გამო. მსოფლიო პოლიტიკისათვის უკეთესი იქნება, გერმანიის კანცლერმა აიძულოს ავსტრია თავი დაანებოს საომარ გან-ზრახვებს სერბიის წინააღმდეგაო.

**ავსტრიასა სცხელა**

ავსტრიის გაზეთებიც ძალიან მხურ-ვალედ ეკიდებიან ბოიკოტთან ბრძო-ლას. ავსტრიის მთავრობამ დაქრთა-მა გაზეთები და სურს საზოგადოებ-რივ აზრს სასურველი მიმართულება მისცეს. გაზეთი „ნეუე ფრეი პრე-სე" ამბობს, თუმცა ბოიკოტი კვლავ განაგრძობს მოქმედებას, მაგრამ ავსტრიის მიერ ოსმალეთთან მოლა-პარაკების განახლება პარლამენტის მოწვევამდე მეტად გონივრული ნა-ბიჯია, რადგან თუმცა ოსმალეთის პარლამენტი ჯერ არავითარ ძალას არ წარმოადგენს, მაგრამ მაინც სა-ფიქრებელია, როგორ განწყობილე-ბაში იქნება მომავალში ავსტრიას-თანაო. გაზეთის აზრით, კარგი იქ-

---

ურევს ერთმანეთში. მისის აზრით, მაღლა მდგომ ცხოველთა სამარადი-სო არსებობა არა ყოფილა ხელ-საყრელი მოდგმისათვის მისთვის, რომ სხეულს არ შესძლებია თა-ვის დანაკლისის აღდგენა, ე. ი. მისთვის, რომ მისი უჯრები მო-მაკვდავნი ყოფილან, მაგრამ ეს როგორი ახსნაა? ვეისმანი ვალდე-ბული იყო აეხსნა, რისთვის კვდე-ბიან მაღლა მდგომ არსებათა უჯრე-ბი? ამაზე არას ამბობს და ამის გამო მისი სჯა-ბაასიც ბუნებრივ სიკვდი-ლის მიზეზებზე ვერ გვაკმაყოფი-ლებს.

როგორც ვეისმანის, ისე იმის თანამოაზრეთა შეხედულება იმაზეა დამყარებული, რომ ერთ უჯრიანი არსება უკვდავიაო. ამაზე აქვთ აგე-ბული თავიანთი თეორია; ამით ითვალისწინებენ მრავალგვარ ცხო-ველთა ცხოვრების მოვლენას. ერთის სიტყვით ეს დედა-ბოძია მათის სწავ-ლისა და ჩვენც გავითვალისწინოთ, რამდენად მართალია მათი სწავლა, ე. ი. ნუ თუ მართლა ერთ უჯრია-ნი არსება უკვდავია?

ლიტერატურაში დიდი ხანია აღ-ნიშნული იყო, რომ ერთ უჯრიან არსებას არ შეუძლიან დაუბოლოე-ბელი გაყოფაო. ამას, მაგ., ხაზ გასმით ამტკიცებდა გამოჩენილი ზოოლოგი ბრონი. ბევრიც თანა-უგრძნობდა მას, მაგრამ საქმისათვის საჭირო იყო ნამდვილი დაკვირვე-ბანი, სწორი ცდა, საჭირო იყო, მკვლევარი თავის თვალით დარწმუ-ნებულიყო, რომ უმდაბლეს არსების გაყოფასაც საზღვარი აქვს. ამ გვარი გამოკვლევა წილად ჰხვდა საფრანგე-თის მეცნიერს მოპას. მოპამ მიკროს-კოპით ხელში დაგვიმტკიცა, რომ ვეისმანის აზრი სინამდვილეს მოკლე-ბული ყოფილა.

მოპა იკვლევდა ინფუზორიებს (ინფუზორიები ერთ-უჯრიანი არსე-ბანი არიან). მან აღმოაჩინა, რომ ინფუზორიები სრულიადაც არ იყო-ფიან დაუბოლოებლად. რამდენიმე გაყოფის შემდეგ ისინი სუსტდებიან, ახალი თაობა გამოუდით მილეული, პაწაწა ტანისა; შუაგული ბირთვი თანდათან უვიწროვდებათ, მოცამ-ცამე აპპარატი ეკარგებათ, ბოლოს და ბოლოს უჩნდებათ იმ გვარი შთამომავლობა, რომელსაც აღარა აქვს აღარც გაყოფის სახსარი, აღარც ზრდის და აღარც რჩენის უნარი, ერთის სიტყვით, უსქესო გაყოფის გამო ისინი თანდათან ეთ-ხოვებიან წუთი-სოფელს და კვდე-ბიან. ამასთან მოპას შეუმჩნევია, რომ ის ინფუზორიები, რომელნიც რამდენიმე გაყოფის შემდეგ ახერხე-ბენ ერთი მეორესთან შეერთებას—კონიუგაციას—ინარჩუნებენ სიცოც-ხლეს. ამ კონიუგაციის დროს ინ-ფუზორიები იცვლიან თავიანთ შუა-გულ ორგანოს—ბირთვს. ამ გვარ განახლების შემდეგ, რომელიც უნ-და წარმოადგენდეს განაყოფიერების სულ მდაბიო ტიპს, ინფუზორიები ხელახლად იწყებენ გაყოფას, იყო-ფიან რამდენსამე ხანს, მერე ისევ უერთდებიან ერთი მეორეს და, ამ რიგად, განაგრძობენ თავიანთ სი-ცოცხლეს. ამ მხრით ისინი, რასა-კვირველია, უკვდავნი არიან.

როგორც სჩანს, მოპას დაკვირვე-ბანი არ ეთანხმება ვეისმანის სწავ-ლას. პირიქით აშკარადა სჩანს, რომ ერთ უჯრიანი არსებანი მომაკვდა-ვნი ყოფილან. მაშასადამე, გამოდის, რომ ბუნებრივ შერჩევისათვის საჭი-რო არა ყოფილა მაღლა მდგომ არ-სებათა უჯრებში დაეხშო ის საეჭვო თვისება, რომლითაც სრულიად არ განირჩევიან ერთ-უჯრებიანი არსე-ბანი. ამგვარია გამოცდაზე დამყარე-ბული ფაქტები, ისინი ყოვლად უტ-ყუარნი არიან და, ვფიქრობთ, ვეი-სმანიც რომ მიჰყოლოდა მოპას გზას, ისიც ასცდებოდა სახიფათო მოსაზ-რებებს.

როგორც ზემოდ ნათქვამიდანა სჩანს, მოპას მშვენივრად მიუღწევია მიზნისათვის, მაგრამ ერთ შეცდომას ისიც ვერ ასცდენია. ეს შეცდომა შეეხება იმის ნაწარმოების იმ ად-გილს, სადაც იგი ლაპარაკობს სიკვ-დილის მიზეზებზე. მოპა ამბობს, ორგანიზმი თავის აგებულებით წარ-მოადგენს ნამდვილ მაშინასაო; როგორც მაშინა უვარგისდება და ფუჭდება ბევრი მუშაობის გა-მო, ისე უვარგისდება და ფუ-ჭდება სხეულიცაო. საკითხის ამ-გვარი განმარტება, რასაკვირვე-ლია, დიდად ეთანხმება სიცოცხ-ლეზე მატერიალურ შეხედულებას; მაგრამ პირველი „Comparaison N'est pas raison" და მეორე ამ გვარი შე-დარება სრულიად უადგილოა. რა ჰკუა საყრელია იმ გვარ მოვლენა-თა შედარება, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ-რა? ჩვენ შეგვი-ძლიან შევუდაროთ ადამიანი ადა-მიანს, მხეცი მხეცს, ფრინველი ფრინველს, მცენარე მცენარეს, სულ-დგმული სულდგმულს, მაგრამ რა შესადარებელია სულდგმული უსულ-დგმულოსთან? საქმეც იმაშია, რომ ორგანიზმი თავის ბუნებით არ ჩა-მოჰგავს მაშინას. რასაკვირველია, მაშინაც ფუჭდება ბევრი მუშაობის გამო, თან ისიცაა, რომ მისი ნაწი-ლები, რომელნიც უფრო მუშაობენ, უფრო ფუჭდებიან და რომელნიც ნაკლებს მუშაობენ—ნაკლებს ფუჭ-დებიან. ორგანიზმი? სხეულის ის ნაწილები, რომელნიც მეტს მუშაო-ბენ, უფრო ვითარდებიან და უმჯო-ბესდებიან. ისინი კი, რომელნიც არას აკეთებენ, კლებულობენ, სუს-ტდებიან და ილევიან, ეს ერთი. მეორე: მაშინის ნაწილები მუშაო-ბის დროს იხეხებიან და გახეხილი გახეხილად რჩება, ორგანიზმს კი შეუძლია შელახულ ნაწილების აღ-დგენა, გამთელება. სავალდებულოც ისაა გავიგოთ, რა მიზეზია, რომ ამ გამთელების და აღდგენის ხალისი ხანდისხან კლებულობს და უთმობს ადგილს იმ ცვლილებებს, რომელთაც მოჰყვება ჯერ სიბერე და მერე სი-კვდილი? ამ საკითხზე მოპაც არას ამბობს და იმეორებს ვეისმანის უნუ-გეშო სიტყვებს—უჯრები ილევიან, სუსტდებიან და ამის გამო კვდებია-ნო, ე. ი. ამბობს იმას, რაც ანბა-ნათაც აღარა ჰყოფნის ეხლანდელ ბუნების მეტყველს.

ვერა შველის აღძრულ დილლე-მის შეგნებას ბიუჩლის წინადადებაც. ბიუჩლის აზრით, სიცოცხლე დამყა-რებული ყოფილა რაღაც „ფერმენ-ტის" მოქმედებაზე. რაა ეს ფერმენ-ტი, საიდან გამონახა, რა თვისები-საა, ამაზე სრულიად არას ამბობს ბიუჩლი. „დროთა განმავლობაში, ამბობს ბიუჩლი, ეს ფერმენტი თან-დათან იხარჯება, ამის გამო სხეულს თანდათან აკლდება ცხოვრების ხა-ლისი". ნუ თუ საჭიროა ლაპა-რაკი იმაზე, რომ ამგვარ ჰიპოტეთი-ურ „ფერმენტის" არსებობა და მისს გავლენის გამო უჯრების დასუსტება სრულიად არას გვეუბნება ახალს საკითხის შესაგნებად?

რამდენიმე წლის წინად ამ საკითხს შეეხო აწ განსვენებული აკადემიკო-სი ი. თარხნიშვილი. მისის შეხედუ-ლებით „უჯრათა ბირთვური ნივთი-ერება, რომელსაც ცხოვრების პრო-ცესში ეკუთვნის აღშენების როლი, თანდათანი გაყოფის დროს ნამცეც-დება (дробится), ამის გამო მისი რა-ოდენობითი შენადგენი (количествен. содержаніе) კლებულობს. ამას კი უე-ჭველად უნდა მოჰყვეს უჯრათა აღ-შენების ძალის და გამრავლების ხა-ლისის დასუსტება".

როგორც პროფ. შიმკევიჩი ამბო-ბს, სხვებზე უფრო თარხნიშვილი მიახლოვებია საკითხის შეგნებას. ყო-ველივე უჯრის სიცოცხლე დამყარე-ბულია ბირთვის სიცოცხლეზე და მისს ერთიანობაზე. უჯარი კი არაა უმდაბლესი არსება, როგორც გვა-სწავლიდნენ შვანნი, შლეიდენი, კე-ლლიკერი, ვირხოვი და სხვანი, არა-მედ ამ უჯრის ბირთვი და მისი ნა-მცეცა ბირთველა (ядрышко). მაშასა-დამე, საკითხის შესაგნებად საჭირო ყოფილა ამ ბირთვის შესწავლა—ეს ჯეროვნად შეუსრულებია თარხნი-შვილს, თუმცა, როგორც შენიშნავს შიმკევიჩი, ისიც ვერ ამცდარა ერთ შეცდომას. თარხნიშვილის შეხედუ-ლებით უჯრათა ბებრული მილევა იმაზეა დამყარებული, რომ ბევრის გაყოფის შემდეგ ბირთვის რაოდე-ნობითი შენადგენი კლებულობს, ნამცეცდება. ყველა შემთხვევისა-თვის ამ გვარი დასკვნა არა ყოფი-ლა მართალი. ხანდისხან ბირთვს, დარღვევის მაგივრად, გადიდებაც შე-სძლებია. მაგრამ აქვე უნდა შევნი-შნოთ, რომ სწავლა ბირთვზე და ბირ-თველაზე ახალი სწავლაა და მომავა-ლში შეიძლება თარხნიშვილის სწავ-ლაც სრულიად იქნეს მიღებული. რო-გორც გვარწმუნებს ბოლო დროის მკვლევარნი, ერთ უჯრიანი არსება იყოფა და იზრდება, სანამ მასში მუშაობს ბირთვური აპპარატი; რო-გორც კი მოესპობა ეს აპპარატი, იგი სუსტდება და ილევა. აქედანაც სჩანს, რომ, როგორც გვასწავლი-და თარხნიშვილი, უჯრის დამახა-სიათებელ თვისების მქონე ყოფილა თვით ბირთვი. ბირთვის ცალკე ელე-მენტები გვიხასიათებენ უჯრის ყო-ველგვარ თვისებას, ე. ი. ყოველივე ორგანიზმის სიცოცხლის კერძო თვისება ჩასახულია ამ ბირთვის ელე-მენტებში; ბირთვის ელემენტი იძ-ლევა იმას, რითაც თვითონაა აღ-ჭურვილი. მაშასადამე, უჯრის გა-ყოფის დროს უმთავრესი მნიშვნე-ლობა იმასა ჰქონია, თუ როგორ ნაწილდება ჩამომავლობაში მდედრო-ბითი ორგანიზმის ბირთვის ელემენ-ტები. თუ ელემენტები თანასწორად განაწილდებიან, მაშინ ახალ უჯარს შეხვდება იგივეობითი ელემენტები და თვით უჯრებიც ერთნაირი იქ-ნებიან თავიანთ ძირეულ თვისებით; და თუ კი უთანასწოროდ, მაშინ ერთ უჯარს შეხვდება რომელიმე ერთი თვისება, მეორეს—მეორე. მა-გრამ აქ საქმე იმაშია, რომ თვით გაყოფის მექანიზმიც არაა ყოვლად სრული. „საზოგადოდ, ჩვენ არ შე-გვიძლიან, წარმოვიდგინოდ, ამბობს შიმკევიჩი, რომ ცხოვრებაში არსე-ბობდეს ყოვლად სრული და სწო-რი მექანიზმი. ამ გვარი არსებობა არც ეთანხმება სიცოცხლის მყოფო-ბას".

„ერთის სიტყვით, განაგრძობს ში-მკევიჩი, მათემათიურად ისე ძნელია უჯრის ელემენტების განაწილება, როგორც, მაგ., ადამიანისათვის ძნე-ლია ათასი თეთრი და შავი კენტის ორ ტომარაში ისე განაწილება, რომ თი-თეულში შეუცდომლად გადაყარ-გადმოყაროს ცალ-ცალკე თეთრი და შავი კენჭები. „შიმკევიჩის აზრით, ბუნებაც ისე სცდება, როგორც უნ-და შემცდარიყოს ადამიანი კენჭების განაწილების დროს. და აქედან გა-მოჰყავს ის დასკვნა, რომ უჯრის და-ბერებასა და სიკვდილში ბუნების შეცდომას ჰქონია უდიდესი მნიშვნე-ლობა. „ბუნებას რომ შეექმნა იმ გვარი იდეალური უჯრა, ამბობს შიმკევიჩი, რომელსაც შესძლებოდა მათემატიკურად გაყოფა, ადვილი მოსალოდნელი იქნებოდა უკვდავო-ბაც—".

შიმკევიჩის აზრით, სიბერის მიზე-ზი ყოფილა უჯრის აგებულების უა-ლოესობა. სიცოცხლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია კონიუგაციას და განაყოფიერებას. ვისაც აკლდება ეს თვისება, ის უეჭველად უნდა გამოეთხოვოს ამ წუთი-სოფელს.

**დ. აბვლედიანი.**

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდა ვენიდან მილოცვა გაეგზავნოს ოსმალეთის პარლამენტს. ალბად, ძალიანა სცხელა ავსტრიას, რომ მილოცვასაც კი ურჩევს გაზეთი.

**ახმედ-რიზა-ბეის აზრი ბალკანეთის საქმეებზე**

ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნდა ახმედ-რიზა-ბეი, ისმალთა კომიტეტის კანდიდატი მომავალ პარლამენტის თავმჯდომარედ. გაზეთ „ნ. ფ. პრეს.“ კორესპონდენტი ელაპარაკა ახმედ რიზას რომელმაც, სხვათა შორის სთქვა: ბოსნია—ჰერცოგოვინის შემოერთებამდე ველაპარაკე ერენტალს და ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ავსტრია ოსმალეთის უფლებას არ დაარღვევს, მით უმეტესს რომ ბიულოვმაც შემოერთების შესახებ გავრცელებული ხმები ჭორებად ალიარა. ავსტრიის საქციელი დიდათა ლახავს ოსმალეთის თავმოყვარეობას. დაიწყო ბოიკოტი და ახალ გაზდა ოსმალთა კომიტეტიც ჩაერია, რომ უფრო ძლიერი და წესიერი გამომეტყველება მიეცა გადმოხეთქილ პატრიოტულ გრძნობისათვის. ბოიკოტი არ მოისპობა, სანამ ავსტრია უსამართლობას თავს არ დაანებებს და კანონიერ მოქმედებას არ მიჰყოფს ხელს. პატარა ბოსნიის მითვისებით ავსტრია ჰკარგავს ოსმალეთის დიდ ბაზარს. ეს იგება მოსალოდნელია, თუ ბოსნიას ავტონომია მიენიჭება. ავსტრია-ოსმალეთს შორის კავშირის ხელშეკრულობა ყოველსავე აზრს მოკლებულია, რადგან ავსტრიამ პარიზის ხელშეკრულებას ზურგი აუქცია, პირობა ოსმალეთის ხელშეუხებლობაზე დაარღვია და ამით სიტყვა გასტეხა. ოსმალები არ მისდევენ სახარების მორალს, შეურაცხყოფის მიყენებას იგინი არ დაივიწყებენ. ევროპაში მოგზაურობიდან ის შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ომი არ მოხდება, არც ამ ზამთარში და არც გაზაფხულზე. ჩერნოგორია და სერბია არ დაიწყებენ მოქმედებას, თუ ამაზე ავსტრიამ არ გამოიწვია. ოსმალეთი კონფერენციის მოწვევას თხოულობს; ეკონომიურ ბრძოლას განაგრძობენ იმ დრომდე სანამ დაკმაყოფილებული არ ვიქნებითო. ახმედ რიზა-ბეიმ ისიცა სთქვა, რომ ავსტრია გერმანიის რჩევით მოქმედებსო, ოსმალეთის პარლამენტი უწინარეს ყოვლისა შინაურ საქმეების მოწესრიგებას შეუდგება. საგარეო საქმეებში პარლამენტი დაკმაყოფილდება კანტროლითაო.

**საიდუმლო ხელშეკრულობა**

ბერლინიდან გაზეთ „რეჩ“-ის საკუთარი კორესპონდენტი იუწყება: როგორც ვენიდან გადმოგვცემენ, დიპლომატიური წრეები ბეჯითად ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ გარდა იმ ხელშეკრულებათა, რაც უკვე გამოქვეყნებულია, არსებობს კიდევ 1885 წლის საიდუმლო ხელშეკრულება, რომლითაც ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მიიღო ფორმალური თანხმობა, რომ თუ ბოსნია-ჰერცოგოვინის შეერთება მოხდა, რუსეთი არ ჩაერევა და არც არავითარ მოთხოვნას არ წარადგენსო.

**ავსტრიის მზადება ომისათვის.**

ამ დღეებში 10 ათასი ჯარისკაცი მივა კატაროში. ამის შემდეგ ავსტრიას საკმაო ჯარი ეყოლება ბოსნია-ჰერცოგოვინასა და დალმაციაში მოქმედების დასაწყობად.

# ოსმალეთი

**არჩევნები**

სტამბოლში მოხდა დეპუტატების არჩევნები. აირჩიეს ათი დეპუტატი. შვიდნი ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის მიერ იყვნენ დასახელებულნი. დეპუტატებში—ხუთი ოსმალოა (მათში ახმედ-რიზაც—იუსტიციის მინისტრი; რეჯაი ბეი—„ტანინის“ რედაქტორი), ორი ბერძენი, ორი სომეხი ვექილი და ერთი ებრაელია, თამბაქოს მონოპოლიაში მოსამსახურე. დიდი ვეზირი და სახალხო განათლების მინისტრი კაამაჟეს.

**ოსმალეთი და რუსეთის კავშირი.**

გაზეთ „შურაი უმეთში“, „ერთობის და პროგრესის“ ორგანოში, 22 ნოემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც მოუწოდებდა: „დავივიწყოთ ძველი მტრობა და შუღლი, ვიყუსუთ საფრანგეთისა და ინგლისის ერთად რუსეთის მოკავშირეთაო“.

**ბერძნების პეტიცია**

მაკედონიაში მცხოვრებმა ბერძნებმა პეტიცია გაუგზავნეს მსოფლიო პატრიარქს იოაკიმს. ბერძნები აცნობინებენ პატრიარქს, მაკედონიაში მთავრობა აიარაღებს მაჰმადიანებს რომელნიც რაიმე განხეთქილების დროს სულ ერთიანად გასწყვეტენ ბერძნებსაო. ბერძნები სთხოვენ პატრიარქს დახმარებასა და მფარველობას.

# წერილები

**სოფ. ფშაველი** (კახეთი). ენა და პირი ვერ გამოსთქვამს იმ გაჭირვებას, რაც ამ ბოლო დროს ჩვენ სოფელს თავზედ დაატყდა. იმის გარდა, რომ მოსავალი ძალიან ცოტა მოვიდა, ზედ დაერთო ეგზეკუცია. ამ თვის პირველ რიცხვებში ვიღაც ყაჩაღებმა მოჰკლეს მთავრობის მსახური, ინგუში გონი, უფრო ფულის გულისთვის. ამის შემდეგ ჩაგვიყენეს ეგზეკუცია. ხარჯი, რასაკვირველია, სოფელს დიდი აქვს. სანოვაგის გარდა სოფელი ბევრ თავსა და ბზესა ჰკარგავს. ჩალასაც-კი ვეღარ იშოვი სტუმრის ცხენისთვის. დიდ გაჭირვებაში ჩავარდა ჩვენი გლეხი, უფრო-კი ხარ-კამეჩის პატრონი. ზამთარმაც, შედარებით სხვა წლებთან, ძალიან ადრე დაგვიკაკუნა კარები. აქ სამ გიორგობისთვეს უკვე ნახევარ არშინზედ მოვიდა თოვლი. ჭირი ჭირზედ დაატყდა ხალხს. **აქაური.**

**ს. ცაიში** (სამეგრელო). ამ დღეებში უკვე დასრულდა ჯარში გაწვეულთა კენჭის ყრა. წელს მტკიცედ იქნა ყველა წესი დაცული. მთელი ზუგდიდის ადმინისტრაცია ყურადღებად იყო გადაქცეული.

ამ დღეებში ზუგდიდში სტრაჟნიკებმა მოიყვანეს თავით ფეხამდე შეიარაღებული ქალი. იგი მონიას ასულია და გავარდნილი იყო მონიასა და ჩუხუასთან. ესენი ეს რამდენი ხანია მოქმედებენ ჩვენს მაზრასა და სამურზაყანოში. თუმცა ქალი გაბაწრული იყო, მაგრამ არავის ეპუებოდა. რომ ჰკითხავდნენ რა ქალის საქმე იყო გადავარდნა და გადავარდნილებთან სიარული, ყველას ეუბნებოდა: ვინ იცის, ადამიანს რა საქმე არ შეემთხვევა და რას არ გამოსცდისო. **ჟ.**

---

**ხონი.** აქაურ ბაზარზე დიდძალი შალი და ნაბდის ქუდები შემოაქვთ ყოველ ხუთშაბათობით სამეგრელოს და ხონის ახლო-მახლო სოფლების ქალებს. სულ ცოტა შალისა და ნაბდის ქუდი გადის ხონიდან ყოველ კვირაში ათას მანეთამდე. ყიდულობენ უმთავრესად ქუთათური ებრაელები. ეს ვაჭრები მეტად ცუდად ექცევიან ქალებს. ერთი რომ შალს ძრიელ იაფად ყიდულობენ; ამასაც არა სჯერდებიან და ასაღებენ ქალებში უვარგისს ქაღალდის ფულს. მშრომელმა ქალებმა არა იციანრა და ვერ არჩევენ უვარგისსა და კარგს. ვაჭრებიც სარგებლობენ რა მათის უვიცობით, აჩეჩებენ ამ ფულს. საჭიროა, ამას ყურადღება მიაქციონ და ალაგმონ ვაჭრების თავგასულობა; სასურველია, დაარსდეს ამხანაგობა ან მსგავსი რამ ამ ექსპლოატაციის თავიდან ასაცილებლად. ზამთრობით იმავე ქალებს შემოაქვთ გასასყიდად წინდები და ხელთათმანები. ნაწილს ყიდულობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ნაწილიც სხვა და სხვა ქალაქებში გააქვთ. ესენიც იმ ტაფაში იხრაკებიან, რომელშიაც შალისა და ნაბდის ქუდის დამმზადებელი ქალები; ამხანაგობა ამათაც დაეხმარებოდა. ერთი მხრით, იგი საშუალებას მისცემს მშრომელ ქალებს, თავიანთი ნაწარმოები რიგიან ფასად გაასაღონ და ფულის მხრივაც არ დარჩნენ მოტყუებულნი და მეორეს მხრივ გააძლიერებს შინა მრეწველობას. **ალბგიგ.**

# რუსეთი

**✦ სრულიად რუსეთის ქალთა კრება.** მომავალ ქალთა კრების მოსაწყობი წინასწარი მუშაობა, გაზეთების სიტყვით, უკვე ბოლოვდება. გამოირკვა, რომ კრებაში მონაწილეობას მიიღებს 300 წარმომადგენელი. წინდაწინვე მიღებული მოხსენებანი დაყოფილია სექციებად და დანიშნულნი არიან მომხსენებელნი საზოგადო კრებებისთვის. აქამდის გამოირკვა, რომ კრებაზე 150 მოხსენება წაიკითხება, აქედან 24 მოხსენებას მამა-კაცები წაიკითხავენ. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი შინგარევი წაიკითხავს მოხსენებას ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე. დეპუტატი გეგეჭკორი გააცნობს კრებას კავკასიელ ქალთა მდგომარეობას. ეგრედ წოდებულ ქალთა საკითხზე მოხსენებას წაიკითხავს ქ-ნი ჩებოტარევსკაია. სხვათა შორის, წაიკითხავენ მოხსენებებს ზნეობაზე, ქალებზე და პოლიტიკაზე, დედების კურსებზე, მუშა-ქალებზე, პროფესსიონალურ განათლების მდგომარეობა-საჭიროებაზე, „ორი შეხედულება ქორწინებაზე“—„კრეიცეროვა სონატა“ და „სანინი“ და სხვა. ქალთა კრებას, სხვათა შორის, ებრაელი ქალებიც დაესწრობიან. ქალთა კრების მოსაწყობ ორგანიზაციას უკვე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ებრაელ ქალებს ნება მიეცეთ პეტერბურგში ცხოვრებისა კრების გათავებამდე.

**✦ ჩამოხრჩობა.** სამხედრო სასამართლოების განაჩენებით ჩამოხრჩობა გადაწყვეტილი აქვთ: კიევში 1, ვორონეჟში 2, ეკატერინბურგში 1, ვარშავაში 9, კამენეც-პოდოლსკში 1, ვილნოში 1, ეკატერინოსლავში 6; ჩამოუხრჩვიათ: ეკატერინოსლავში 9, დუბნაში 1, კრემენჩუგში 2, კიევში 5, რიგაში 4.

**✦ სატყეო ინსტიტუტი.** ეს რამდენიმე ხანია სატყეო ინსტიტუტის სტუდენტებმა აკადემიურ ნიადაგზე გაფიცვა გამოაცხადეს. მიუხედავად გაფიცვისა, ინსტიტუტის პროფესორები მაინც მუშაობდნენ. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, პროფესორებს მოსწყინებიათ ფუჭი მუშაობა და ორი დღით შეუწყვეტიათ მეცადინეობა ინსტიტუტში, თანაც გამოუცხადებიათ სტუდენტებისთვის, თუ ამ ორი დღის შემდეგ გაფიცვას არ მოხსნით და სწავლას არ შეუდგებით, ვიშუამდგომლებთ, ინსტიტუტი დაიხუროსო.

**✦ გაზეთ „როსსიას“ განცხადება.** ამას წინად გაზეთებში მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკის რეინბოტის შესახებ ცნობები დაიბეჭდა. მთავრობის ოფიციალური გაზეთი „როსსია“ აცხადებს, ამის შემდეგ გაზეთებს ეკრძალებათ რეინბოტზე წეროო.

**✦ მოულოდნელი დაბრუნება.** კურსკის გუბერნიაში ეხლა დაბრუნებულა 15 სალდათი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ რუსეთ-იაპონიის ომში და დაკარგულებად ითვლებოდნენ. სახლში მათ, „რუსკ. სლოვოს“ სიტყვით, ცოლები გათხოვილები დახვედრიათ.

**✦ სასამართლო.** ნოვო-ჩერკასში უკვე დამთავრდა საქმე დონის-როსტოვში 1905 წ. მომხდარ შეიარაღებულ აჯანყების შესახებ. სამართალში მიცემული იყო 7 კაცი. სასამართლომ გადაუწყვიტა: ერთს ჩამოხრჩობა, ერთს 12 წლით კატორღა, ორს 2 წლით და 8 თვით ტუსაღთა განყოფილებაში ჯდომა თითოს და ხამი გაამართლა.

**✦ დაპატიმრება.** რადომში (ვარშ. გუბ.) შეუპყრიათ 50 წევრი პოლონეთის სოციალისტურ პარტიისა, აღმოუჩენიათ იარაღი, პროკლამაციები და პარტიული მიწერ-მოწერა.

**✦ შურის ძიება.** 28 ნოემბერს სასამართლოში უნდა გარჩეულიყო საქმე შტაბს-კაპიტან მაკედონსკისა, რომელსაც რუტჩენკოვების ოჯახის ამოწყვეტა ჰბრალდებოდა. საქმის გარჩევის წინა დღეს რუტჩენკოვის შვილი მისულა ციხეში, ვითომდა მაკედონსკის სანახავ დ. რუტჩენკოვის შვილს მაკედონსკისთვის შვიდჯერ უსროლია რევოლვერი და იქვე მოუკლავს. ყველაფერი ეს სალდათების და ციხის ზედამხედველების თვალწინ მომხდარა.

**✦ ყალბი ფულის ქარხანა.** ამ ბოლო დროს პეტერბურგში ოქროს და ვერცხლის აუარებელი ყალბი ფული გავრცელდა. საიდუმლო პოლიციის აგენტებს ამისთვის ყურადღება მიუქცევიათ და ბოლოს მშვენივრად მოწყობილი ყალბი ფულის საჭრელი ქარხანა აღმოუჩენიათ. პოლიციას წაუღია აუარებელი მოჭრილი ფული, 15 მანეთიდან დაწყებული 10 კ—მდის.

**✦ ორენბურგის სამღვდელოების შუამდგომლობა.** პეტერბურგში ჩასულან ორენბურგის სამღვდელოების წარმომადგენელნი. მათ პეტიცია წარუდგენიათ და უთხოვნიათ, ქვრივ სამღვდელო პირებს მეორედ ქორწინების უფლება მიეცეთო. პეტიციაზე ხელი უწერია 15 მღვდელს. პეტიციაში მოყვანილია რამდენიმე კანონიკური საბუთი შუამდგომლობის დასაცველად.

**✦ საუნივერსიტეტო წესდება.** მინისტრთა საბჭო უკვე ამთავრებს საუნივერსიტეტო წესდების განხილვას. საუნივერსიტეტო წესდების შემდეგ მინისტრთა საბჭო განიხილავს პირველ-დაწყებითი სწავლის კანონ-პროექტს, მერე საშუალო სკოლის წესდებას. საუნივერსიტეტო წესდებას სახელმწიფო სათათბიროში შობის შემდეგ შეიტანენ.

**✦ სტამბის მომუშავეთა კრება.** 26 ნოემბერს მოხდა კრება მოსკოვის სტამბების მომუშავეთა. კრებას დაესწრო 75 წარმომადგენელი. კრება, სხვათა შორის, შეჰხებია უმუშევართა მდგომარეობას. კრებას დაუდგენია: 1. სტამბებში მოაგროვოს შემოწირულობა, რისთვისაც გამოსცენ ცალკე ფურცლები; 2. დადებულ დროს გარდა, შეძლებისა და გვარად არ იმუშაონ, რომ უმუშევართაც სამუშაო იშოვონ; 3. იმ სტამბებში, სადაც მუშაობა მცირდება, ისე განაწილდეს მუშაობა, რომ აღარავინ დაითხოვონ და 4. ამ აზრითვე შობის დღესასწაულების წინ არ იმუშაონ ზედ-მეტი.

**✦ საგენერალ-გუბერნატოროების გაუქმება.** ზომიერ მემარჯვენეებს სახელმწიფო სათათბიროში შეუტანიათ კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა გაუქმდეს კიევის, პოდოლის, ვოლინის და სტეპნი გენერალ-გუბერნატორების თანამდებობანი და მათი კანცელარიები. განსამარტებელ მოხსენებაში მემარჯვენეებს მოტივად ის მოჰყავთ, რომ სამხრეთ-დასავლეთი რუსეთი სხვა ერების გავლენის ქვეშ აღარ იმყოფება. სწერენ აგრეთვე, რომ ისედაც ბევრი ფული იხარჯება და ამითი მაინც შევამსუბუქებთ ხარჯსაო.

**✦ დემონსტრაცია გერმანელების წინააღმდეგ.** პეტერბურგში ინტერნაციონალურ თეატრში წარმოდგენა გაუმართავს ვენის საოპერეტო დასს. უთამაშნიათ იაროსის ოპერეტტა—„მეფე“. როდესაც სცენაზე გამოსულა არტისტი, რომელიც ავსტრიელ აფიცრის როლს თამაშობდა, ერთი აურ-ზაური ატეხილა. ყვიროდნენ, უსტვენდნენ, აბრახუნებდნენ. ძირს გერმანელები, ძირს, ძირს სისხლის მწოველები, გაიყვანეთ რეგვენები, დაიკარგენით აქედან, გერმანელებოო და სხვა ამისთანაებით გაუმასპინძლდნენ ვენის დასს თეატრში მყოფი ჩეხები, რომელთაც სხვებიც აძლევდნენ თურმე ბანს. რის ვაი ვაგლახით პოლიციამ ჩააჩუმა ხალხი, ისიც მაშინ როდესაც გაამრავლეს პოლიცია და თვითონ პოლიცმეისტერი მოვიდა.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ივანე სოზიაშვილი.**


# განცხადებანი

**ექიმი ჟ. მ. ჩიქოვანი**

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, გოლოვინის ძეგლის მახლობლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—19)

◀ პოეტის ▶

**აკაკი წერეთლის იუბილეი**

კვირას, 1908 წლის დეკემბრის 7-ს

I

**დილის დღესასწაული**

1. დილის 10 ს **აკაკი წერეთლის** ბინაზე შეიკრიბებიან არჩეული პატივისმცემელნი და მათის თანახლებით იუბილარი 10 ნახევარ ს. გაემგზავრება სიონის ტაძარში, სადაც გადახდილი იქნება პარაკლისი.

2. პარაკლისის გათავების შემდეგ იუბილარი დაბრუნდება სახაზინო თეატრში.

3. 12 საათზე სახაზინო თეატრის სცენაზე იუბილარი მიიღებს დეპუტაციებისაგან. დილის დღესასწაული გათავდება 4 ს. საღამოს იუბილარის სიტყვით.

II

**საღამოს დღესასწაული**

საღამოს 8 ნახევარ ს. სახაზინო თეატრში გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

**თამარ ცბიერი** მეორე მოქმედება — **პატარა კახი** მეორე მოქმედება

**ცხოველი სურათი აპოთეოზი**

დეპუტაციები, რომელნიც ვერ მოასწრებენ დღით მილოცვას, მიულოცვენ იუბილარს საღამოთი, პირველსა და მეორე წარმოდგენას შუა.

ბილეთები სახაზინო თეატრში მესახლელად როგორც დღის, ისე საღამოს დღესასწაულისთვის იყიდება წ.-კითხვის საზოგადოებაში. (5—უ.—4)

**შედგენილი გრ. ჩარკვიანისაგან**

**ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.**

**კედლის კალენდარი 1909**

**გამოცემა ამხ. „ხორავანისა“. ფასი 40 კაპ.**

კედლის კალენდრის კარდონზედ დახატულია საზოგადო მოღვაწეთა სურათები. სხვათა შორის მოთავსებულია მეფე **ვახტანგ მეექვსეს სურათი** 200 წ. სტამბის დაარსების გამო საქართველოში და აკაკის სურათი მისი 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო. ტფილისში კალენდრები იყიდება: წერა კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში, „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში, „ალიონის“ წიგნის მაღაზიაში, „რეჩის“ წიგნის მაღაზიაში და სხვაგან.

დაიბეჭდა და 28 ამ თვეს გამოვა გასასყიდად **ჯიბის კალენდარი** 1909 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. კალენდარში მოთავსებულია, სხვათა შორის, ბელეტრისტული ნაწარმოები აკაკისა, სამეცნიერო წერილი ივ. გომართელისა, ისტორიული ცნობანი ზ. ჭიჭინაძის და სხვა. კალენდარში მოთავსებულია 30-მდე სურათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა. ფასი კალენდრისა 20 კაპ.

კალენდრის გამყიდველებს დაეთმობათ 20, 25 და 30 პროცენტი იმის და მიხედვით, ვინ რამდენს იყიდის ერთად.

[illegible] ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს. (10—6—5)

**პროვოდნიკის**

**ამხანაგობა რიგაში**

**1888**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

**ლინოლეუმი**, აუარებელი, ერთფერიანი და უზორებიანი,

**ასბესტის კარტონი,**

**ასბესტის და ტალკის ნაბივკა**

◀ **ახალი რამ:** ▶

„**საუკუნო**“ **ლინოლეუმი** უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თვითონ ლინოლეუმის გაცვეთამდე არ იცვლება.

**ლინკრუსტა** (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო თვალისთვის და საუკეთესო ეკონომიისთვის.

**ცალობით ვაჭრობა დიდ-მიწაზე საუკეთესო კალოშების**

**„პროვოდნიკი“-სა**